განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტრატეგიული კომუნიკაცია, მაგისტრატურა

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

03/10/2022

10/11/2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი-შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405284473
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სტრატეგიული კომუნიკაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0414 - მარკეტინგი და რეკლამა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)	პირობით აკრედიტებული, N758830 გადაწყვეტილება; 01/09/2020 წელი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თორნიკე ხოშტარია, შპს „სასწავლო უნივერსიტეტი“ გეომედი, თბილისი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ სტამბოლიშვილი, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბილისი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელდარ პირმისაშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ალექსიძე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ავტორიზებულია 2019 წლის დეკემბრიდან, როდესაც სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭა 6 წლიანი ავტორიზაცია. 2020 წლის აგვისტოში საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით. 2020 წლის ზაფხულში პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირებით, სასწავლო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ცენტრთან ერთობლივად ჩატარდა კვლევა. შრომის ბაზრის შესწავლის საფუძველზე განისაზღვრა თუ რა უნარები უნდა გააჩნდეს ამ დარგის პროფესიონალს.

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომელთაც ექნებათ ბიზნესის სფეროში ფართო ცოდნა და აღჭურვილნი იქნებიან ანალიტიკური, შემოქმედებით, კრიტიკული აზროვნების, მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების უნარით. სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია 120 ECTS კრედიტის მოცულობით და გაწერილია 2 აკადემიურ წელზე (4 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურა არის შემდეგი სახის:

- 58 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს;
- 10 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებს;
- 42 კრედიტი განკუთვნილია სავალადებულო კვლევითი კომპონენტისთვის;
- ხოლო 10 კრედიტი დათმობილი აქვს თავისუფალი კომპონენტის.

პროგრამას განსაზღვრული აქვს მიღების წინაპირობები, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე შესაბამისი კომპეტენციების მქონე პირების მოხვედრას. პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება 26 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სადაც 15 არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ხოლო 11 მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტთან აფილირებულია 8 აკადემიური პერსონალი: 2 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი 1 ასისტენტ-პროფესორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა არის 15/11.

ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 37 აქტიური სტატუსი მქონე სტუდენტი. პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციით დასაქმების მაჩვენებელი არის 95%-ი. პროგრამა ხორციელდება მართვისა და სტრატეგიული კომუნიკაციის სკოლაში რომელიც აღჭურვილია მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურით.

- ## აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2022 წლის 3 ოქტომბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯში სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო სასწავლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფისთვის უზრუნველყო სამუშაო გარემო. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვარიელება და საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობა. ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის შესაბამისად უნივერსრიტეტმა წარმოადგინა დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

- ## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

სტანდარტი 1.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან (1.2, ქვესტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია);

სტანდარტი 2.

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან (2.2 ქვესტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია);

სტანდარტი 3.

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან (3.1 ქვესტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია)

სტანდარტი 4.

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

- მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან (4.1 და 4.2 ქვესტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია);

სტანდარტი 5.

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ვინაიდან ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი შესაბამისი ინტერპრეტაციით არ არის ასახული გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების მატრიცაში, მაგ. სტრატეგიული მენეჯმენტი.
2. რეკომენდირებულია ძირითად სასწავლო კურსებს დაემატოს „შიდა კომუნიკაციის სტრატეგია“, ან გაძლიერდეს აღნიშნული კურსის თემატიკის სწავლება ძირითად სასწავლო კურსში შემავალ რომელიმე საგანში;
3. რეკომენდირებულია „მედია კომუნიკაცია“ სასწავლო კურსი წარმოდგენილი იყოს ძირითად სასწავლო კურსებში ან თემატიკა ინტეგრირედეს შესაბამის ძირითად სასწავლო კურსების კონტენტში.
4. რეკომენდირებულია „კორპორაციული პასუხისმგებლობის“ სასწავლო კურსი დაემატოს ძირითად სასწავლო კურსებს ან ინტეგრირდეს რომელიმე ძირითადი სასწავლო კურსის შინაარსში.
5. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომებში ხარისხის გაუმჯობესება. კერძოდ, ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი შესრულდეს ადექვატური რაოდენობის წყაროებიდან ასევე, კვლევითი კომპონენტში გამოყენებულ იქნას რელევანტური კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი მოხდეს სამაგისტრო ნაშრომთან შესაბამისი ანალიტიკური ხერხებით (სტუდენტმა გამოიყენოს არა აღწერითი, არამედ დასკვნითი სტატისტიკის მეთოდები).
6. უსდ-ს მიერ შემუშავებული დოკუმენტი - “სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ინსტრუქცია” საჭიროებს, რომ სწორად იყოს მიწოდებული მაგისტრანტებისთვის. ამაში იგულისხმება სტილი, რომელიც უნდა იყოს დაცული ნაშრომის მომზადების პროცესში.

7. რეკომენდირებულია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდოს ნაშორმის ხელმძღვანელების რაოდენობა მათი კომპეტენციის შესაბამისად.
8. რეკომენდირებულია უნივერსიტეტის მხრიდან აფილირებული და აკადემიური პერსონალის წახალისების კუთხით მეტი სამოტივაციო აქტივობების გატარება. რაც მათ მისცემთ მეტ მოტივაციას საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე, სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში გაზარდონ სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია დაემატოს კამპანიების დაგეგმვის სასწავლო კურსი, რომელიც სისტემატიზირებას გაუკეთებს სხვადასხვა საგანში მიღებულ ცოდნას.
2. სასურველია ორგანიზაციაში სტაჟირებისას ყურადღება დაეთმოს უშუალოდ სამუშაო პროცესში ჩართვას და არა - დამოუკიდებელი, განყენებული პროექტის განხორციელებას. ეს განსაკუთრებით ეხება მედია ორგანიზაციაში სტაჟირებისას, რაც მნიშვნელოვანი შესაძლებელი იქნება სტუდენტებმა განიმტკიცონ მედიასთან ურთიერთობის საკითხები.
3. სასურველია სტუდენტების მეტი ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. კერძოდ, საგანმანათლებლო საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სტუდენტების ჩართულობა; საერთაშორისო კოფერენციებში, ფორუმებსა და ტრენინგ კურსებში სტუდენტების აქტიური მონაწილეობა; პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესურის მოწვევა სასწავლო უნივერსიტეტში და აკადემიური აქტივობის განხორციელება.
4. სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირება ,,აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის“ შესახებ.
5. სასურველია პროგრამის მეტი პოპულარიზაციის კუთხით ბიუჯეტში გაიწეროს მარკეტინგული და PR აქტივობებისთვის განკუთვნილი სარჯები.

- **ექსპერტთა ჯგუფის პასუხი ინსტიტუციის არგუმენტირებულ პოზიციაზე**

წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე, ნათლად გამოიკვეთა, რომ ინსტიტუცია ეთანხმება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეთავაზებულ ყველა რეკომენდაციას. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება რეკომენდაციიებისა და რჩევების უცვლელად დატოვების შესახებ.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. უნივერსიტეტი ალტერბრიჯი 2020 წლიდან მაგისტრანტობის კანდიდატებს სთავაზობს უფასო მოსამზადებელ კურსებს საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის: ,,სამაგისტრო კონსპექტები ალტერბრიჯისგან". ეს კურსები სრულად არის დაფინანსებული უნივერსიტეტის მიერ.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

,,სტრატეგიული კომუნიკაცია" სამაგისტრო პროგრამამ 2020 წელს (სახელწოდებით სტრატეგიული კომუნიკაციები) მიიღო პირობითი აკრედიტაცია. რეაკრედიტაციის ეტაპზე პროგრამა მოდიფიცირებული სახით არის წარმოდგენილი. შედეგად პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებაბი:

აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციით, პროგრამის სასწავლო გეგმაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ:

- სასწავლო კურსი ,, სტატისტიკური კვლევები" გადავიდა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსების ბლოკში.
- სამაგისტრო თემასთან დაკავშირებით მაგისტრატურის დებულებაში ფორმულირდა განმარტება, რომ, სტუდენტებს მიმართულებების მიხედვით შეუძლიათ შეარჩიონ სასურველი თემა შესაბამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით".

2022 წელს განახლდა პროგრამის სტრუქტურა და შეიცვალა შინაარსობრივი მხარე, კერძოდ:

- სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტს, რომელიც 58 კრედიტით განისაზღვრა, დაემატა სასწავლო კურსი: ,,მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგია."
- ხოლო სასწავლო კურსები: ,, ღონისძიებების მენეჯმენტი" და ,,ვიზუალის სტრატეგია PR-ში" გადავიდა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებში.

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ბლოკი განისაზღვრა 42 კრედიტით, რომელიც ნაწილდება შემდეგ სასწავლო კურსებზე:

- ,,აკადემიური წერა საზოგადოებასთან ურთიერთობაში";
- ,,კვლევის მეთოდები სტრატეგიულ კომუნიკაციაში"
- „სამაგისტრო ნაშრომი".

გამრავალფეროვნდა, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნულ ბლოკს დაემატა სასწავლო კურსები:

- „საზოგადოებასთან ურთიერთობა საჯარო მმართველობაში“;
- ,,პერსონალური ბრენდინგი და კრეატივი“;
- ,,რეკლამის სტრატეგიები“;
- ,,ორგანიზაციული ლიდერობა“

ამ ეტაპზე სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 10 კრედიტის მოცულობით თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებს:

- „ცოდნის მენეჯმენტი“;
- ,თანამედროვე მენეჯმენტი“;
- ,ევროინტეგრაციის საკითხები“ ;
- „პროექტების მართვა“.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან. ასევე, პროგრამის მიზნებსა და უნივერსიტეტის მისიას შორის არის ლოგიკური ბმა (https://alterbridge.edu.ge/mission-vision-values/). სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამას გააჩნია შემდეგი მიზნები: 2. რეპუტაციული მენეჯმენტის, მოლაპარაკების სტრატეგიებისა და ბრენდის მართვის თანამედროვე მიდგომების პრაქტიკაში გამოყენება; 3. კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელება და გაანალიზება; 4. მიზნობრივი აუდიტორიის შესაბამისი სამოქმედო კამპანიის შემუშავება და ორმხრივი კომუნიკაციით მიღებული სარგებელის ობიექტური დასაბუთება; 5. სტრატეგიული კომუნიკაციის, სოც.მედია და ანტიკრიზისული კამპანიების პრაქტიკული შედეგების კრიტიკული შეფასება.

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების, დასაქმების პერსპექტივებისა და სფეროს უახლესი ტრენდების გათვალისწინებით. აღნიშნული პროგრამა მოიცავს დარგის ძირითად მიმართულებებს, კვლევით და პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც კურსდამთავრებულს აძლევს ღრმა, სისტემურ ცოდნა-გამოცდილებას და ამაღლებს კონკურენტუნარიანობას ადგილობრივი თუ საერთაშორისო მასშტაბით. ინტერვიუს ფარგლებში ნათელი გახდა, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. მათი მხრიდან მოყვანილი იქნა მაგალითები გარკვეული რჩევებისა თუ რეკომენდაციების შესახებ. სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამის მიზნების ფორმულირებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, ასევე უცხოური გამოცდილება, კერძოდ, უნივერსიტეტეს აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები, როგორც საქართველოს ასევე ევროპის (უკრაინა და პოლონეთი) უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან. შესაბამისად, პროგრამას შეუძლია მომზადოს ისეთი კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ გარკვეული წვლილი შეიტანონს როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამა; ● შრომის ბაზრის კვლევა; ● მართვისა და კომუნიკაციის საეთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (მისია, ხედვა): (https://alterbridge.edu.ge/mission-vision-values/) ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ●
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ●
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება: √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამას გააჩნია 9 სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობირება

1. აღწერს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უმთავრესი ფსიქოლოგიური ასპექტების როლს სტრატეგიულ მართვასთან დაკავშირებით;
2. განმარტავს საზოგადოებრივი აზრის გავლენას რეპუტაციულ გადაწყვეტილებებსა და ნდობის შენარჩუნებაზე;
3. განსაზღვრავს სოცმედია მარკეტინგის და ანტიკრიზისული კამპანიის მიზნებს ორგანიზაციის მიერ ნდობის მოპოვება-შენარჩუნებისთვის;

უნარები

4. შეიმუშავებს საერთო ინტერესების ადეკვატურ ტაქტიკას მოლაპარაკების შედეგებზე მოქმედ ფაქტორთა სიტუაციური გაანალიზებით;
5. ქმნის კრიზისულ ვითარებაში დროული რეაგირებისა და შესაბამისი სოცმედია აქტივობების განმახორციელებელ სტრატეგიას;
6. იყენებს სტრატეგიულად შერჩეულ კონკრეტულ საკომუნიკაციო არხებს ცვალებად გარემოში ინფორმაციის ობიექტური გავრცელებისთვის;
7. აფასებს საკომუნიკაციო კამპანიის დაგეგმვა-რეალიზებისას მისაღწევ შედეგებს არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებით;

დამოუკიდებლობა და პასუხისმგებლობა

8. ახორციელებს პროფესიული ეთიკისა და სანდო წყაროზე დაყრდნობით შემუშავებულ სტრატეგიას;
9. წარმოაჩენს საჯარო ინფორმაციის ამსახველ ფაქტებს კორექტულად, მიუკერძოებლად, კეთილსინდისიერად.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ცხადყოფს თუ რა ცოდნით და უნარებით აღიჭურვება პროგრამის კურსდამთავრებული. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, დაფუძნებულია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით გათვალისწინებულ დონეზე და პროგრამის მიზნებთან არის შესაბამისობაში.

უნივერსიტეტში შემუშავებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი მოიცავს ყველა პროცედურას რაც საჭიროა შედეგების მიღწევის გასაზომად. ნათელია პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის თავსებადობა, რაც ასახულია შედეგების შეფასების რუკაზე და თან ერთვის დანართის სახით (დანართი #4). საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს ოთხ ეტაპის: პირველ ეტაპი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. მეორე ეტაპზე ხდება კურიკულუმის ანალიზი, რომლის დროსაც დგინდება, უზრუნველყოფს თუ არა პროგრამა სტუდენტებს საკმარისი შესაძლებლობებით რომ მათ მიაღწიონ პროგრამის სწავლის

შედეგებს. მესამე ეტაპი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას, მონაცემენის შეგროვებას, გაანალიზებას და ინტერპრეტაციას სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების სასურველ დონეზე მიღწევის დადგენისათვის. ბოლო ეტაპზე ხდება შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების რუკის შესაბამისად, გარდა პროფესიული პრაქტიკის და სამაგისტრო ნაშრომისა, არც ერთი საგანი არ აღწევს განმტკიცების დონეს. საეჭვოა ის ფაქტი, რომ ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი, რომლის კონტენტიც და სწავლის შედეგებიც შინაარსობრივად მოიაზრებს განმტკიცების დონეს არ არის ასახული შესაბამის მატრიცაში. თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, რომ პროგრამას კურსდამთავრებულთა დასაქმების საკმაოდ მაღალი პროცენტული (95%) მაჩვენებელი გააჩნია. ვიზიტის ფარგლებში დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები. შედეგად, გასცემდნენ რეკომენდაციებს და იღებდნენ უკუკავშირს. ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, აკადემიური და მოწვეულ პერსონალის სტუდენტების და კურსდამთავრებულების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობა. სტუდენტებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინი მიღწევებთან დაკავშირებით იღებენ უკუკავშირს. აგრეთვე, სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის დასახვეწად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტრატეგიული კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • მიზნებსა და შედეგებს შორის თავსებადობის რუკა (ფანართი #4) • სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმი; • სწავლის შედეგების რუკა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ვინაიდან ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი შესაბამისი ინტერპრეტაციით არ არის ასახული გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების მატრიცაში, მაგ. სტრატეგიული მენეჯმენტი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ ბაკალავრის და/ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების საფუძველზე. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა, საერთო სამაგისტრო გამოცდა (საქართველოს მოქალაქეებისთვის; ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე; გამოცდა სპეციალობაში და გასაუბრება აპლიკანტებთან; სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ, პირი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტს წარუდგინოს ბაკალავრის და/ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა-სამხედრო აღრიცხვაზეყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

- პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
- უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან პროგრამაზე ჩარიცხვ ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები ხელმისაწვდომია, განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, გამჭირვალეა და უზრუნველყოფს პროგრამაზე შესაბამისი კომპეტენციების მქონე პირების დაშვებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://alterbridge.edu.ge/

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება:

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა, მოცულობა და კომპლექსურობა მთლიანობაში შეესაბამება სასწავლო საფეხურისთვის შესაბამის მოთხოვნებს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი გადანაწილებულია 2 აკადემიურ წელზე, 4 სემესტრის განმავლობაში. ყოველ სემესტრში სტუდენტი საშუალოდ აგროვებს 30 კრედიტს. პროგრამის დიზაინი (კრედიტებში) კი ასე გამოიყურება: 100 კრედიტი - ძირითადი კომპონენტი, (10 პროფესიული პრაქტიკა, 30 ECTS - სამაგისტრო ნაშრომი) 10 ECTS - თავისუფალი, ხოლო 10 ECTS სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები.

პროგრამის დიზაინი მორგებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის საყოველთაოდ აღიარებულ და თანამედროვე მიდგომებს. თუმცა, პროგრამის ანალიზისა და ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა რამდენიმე გასაუმჯობესებელი საკითხი.

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას ქვემოთ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

აღსანიშნავია, რომ აკადემიურმა საბჭომ და პროგრამაზე მომუშავე პერსონალმა პირველადი აკრედიტაციის ანალიზის საფუძველზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა თავდაპირველ პროგრამაში და ჩაატარა შესაბამისი ღონისძიებები მის დასახვეწად. მისასალმებელია ამ პროცესში სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა.

რეკომენდაციების გათვალისწინებით, პროგრამა გამდიდრდა ისეთი საგნებით, რომელიც აუმჯობესებს ცოდნას შემდეგი მიმართულებებით: ბიზნესის მართვა, სტრატეგიული დაგეგმვა, მარკეტინგული დაგეგმვა, სოციალური მედიის მართვა და ტექნოლოგიები.

სავალდებულო ნაწილში საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიას და ტაქტიკის სწავლებას ორი ძირითადი საგანი ეთმობა, სხვა საგნებთან ერთად: „სტრატეგიული კომუნიკაცია“ და „რეპუტაციული მენეჯმენტი“, სადაც როგორც საზ.ურთიერთობის კლასიკური თეორიები არის განხილული, ასევე კამპანიების დაგეგმვისა და მართვის საკითხები. ორი სასწავლო კურსი „ინტერპერსონალური კომუნიკაციის მენეჯმენტი“ და „მოლაპარაკების სტრატეგიები“ კომუნიკაციისა და დარწმუნების თეორიების სინთეზს აკეთებს და აღნიშნულ საგნებთან კომბინაციაში სიღრმისეულ ცოდნას აძლევს სტუდენტს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალიზაციის (ხსენებული ინფორმაცია დასტურდება აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად). მიუხედავად ზემოხსენებულისა, სასურველია „საკომუნიკაციო კამპანიების დაგეგმვის“ შემაჯამებელი საგნის დამატება, რომელიც ამ მიმართულებით მიღებულ ცოდნას და უნარებს განამტკიცებს. კამპანიების დაგეგმვის ნაწილი გაფანტულია ნაწილობრივ “რეპუტაციის მენეჯმენტისა“ და „სტრატეგიული კომუნიკაციის“ და სხვა საგნებშიც და ექსპერტთა აზრით, საჭიროებს უფრო მიზანმიმართულ მიდგომას.

ციფრული არხებისა და სოციალური მედიის მიმართულებით სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს საგანს „ციფრული ტექნოლოგიების სტრატეგიული მართვა“, რომელიც სრულყოფილად მოიცავს სოციალური მედიაკამპანიის დაგეგმვის და განხორციელების სტრატეგიულ, ტაქტიკურ და ტექნიკურ საკითხებს. ყურადღება არის გამახვილებული სოციალური მედიის ანალიტიკისა და მოსმენის ტექნოლოგიებზე, ასევე ეფექტიანი კონტენტის შექმნაზე. დავალებების ნაწილიც კარგი ნაზავია, როგორც ანალიტიკური ასევე პრაქტიკული უნარების განვთარებისთვის. არჩევით მოდულში შესულია საგანი „სოციალურ მედია და ანტიკრიზისული კამპანიები“, რომელშიც აქცენტი კეთდება სოციალური მედიის როლზე კრიზისების დროს და ამავდროულად ფარავს კრიზისის მენეჯმენტსაც სხვა არხების გამოყენებით.

ორგანიზაციული ფსიქოლოგიისა და ბიზნესის სტრატეგიული მართვის კომპონენტი უმნიშვნელოვანესია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტისთვის, რომ კურსდამთავრებულმა ადეკვატურად გააანალიზოს და მკაფიოდ დაინახოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ორგანიზაციის მიზნებსა და სტრატეგიას და საკომუნიკაციო სტრატეგიის მიზნებს შორის. ამ მიზანს ემსახურება „სტრატეგიული მართვისა“ და „მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგიის“ საგნები.

„სტრატეგიული მართვის“ სასწავლო კურსის, მიზანია სტუდენტს მისცეს სიღრმისეული ცოდნა სტრატეგიული მართვის უახლესი მიდგომების; გამოუმუშავოს/განუვითაროს პრაქტიკული მმართველობითი საქმიანობის ეფექტური უნარ-ჩვევები. ხსენებული კურსი ფარავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ორგანიზაციის ფუნდამენტური სტრატეგიების დაგეგმარებისა და შეფასების მექანიზმები, სტრატეგიული პროცესების გაანალიზებისა და კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი მიდგომები, ფასწარმოების პოლიტიკისთვის ბაზრის სეგმენტაცია, სამიზნე ჯგუფების შერჩევა და მათი პოზიციონირების კონცეფციები, და ა.შ. სასწავლო კურსში დაფარული საკითხები საკმარისია იმისთვის, რომ მაგისტრმა მიიღოს ცოდნა სტრატეგიული მენეჯმენტის მიმართულებით.

პროგრამის ძირითადად სასწავლო კურსების დიზაინი ლოგიკურად მოიცავს ძირითად კომპეტენციებს, რაც აუცილებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრისთვის და ეთანხმება მაგისტრატურის დებულებით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. ასევე, არჩევითი კომპონენტი რომლის მიზანია სტუდენტმა გარკვეულწილად კონკრეტირება მოახდინოს სხვადასხვა მიმართულებით, იქნება ეს ღონისძიებების მართვა, საერთაშორისო მარკეტინგი, მედიასთან ურთიერთობა, ბრენდინგისა და ვიზუალურ/შემოქმედებითი გადაწვეტების მიმართულება.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ პროგრამის შინაარსში სუსტადაა წარმოდგენილი შიდა ორგანიზაციული კომუნიკაციის მიმართულება, რაც დღეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის უმნიშვნელოვანეს კომპეტენციას წარმოადგენს. ეს მიმართულება ნაწილობრივ არის შეტანილი რამდენიმე საგანში - „რეპუტაციული მენეჯმენტი“ და „სტრატეგიული კომუნიკაცია“, თუმცა, მხოლოდ ზედაპირულად მიმოიხილავს თეორიულ და პრაქტიკულ საწყისებს. აქედან გამომდინარე, რეკომენდირებულია გაძლიერდეს შიდა კომუნიკაციის სტრატეგიის სწავლება.

სილაბუსების ანალიზითა და განხორციელებული ინტერვიუებით დადგინდა, რომ მედიასთან ურთიერთობის მიმართულება არასაკმარისადაა წარმოდგენილი

კურიკულუმში. არჩევითი საგანი „მედია კომუნიკაცია“ მნიშვნელოვანია მაგისტრის მსოფლმხედველობის გამდიდარებისათვის და სპეციალობისთვის სპეციფიურ და აუცილებელ ცოდნას იძლევა, თუმცა არ ფარავს მედიასთან ურთიერთობის აუცილებელ მოდულებს, როგორიცაა: მედია დაგეგმარება, ადგილობრივი მედია ლანდშაფტი, საერთაშო მედია აქტორები, და ა.შ. რეკომენდირებულია, რომ ეს მიმართულება გაძლიერდეს და აისახოს ძირითად სასწავლო კურსებში (როგორც სასწავლო კურსი ან ინტეგრირედეს შესაბამის ძირითად სასწავლო კურსების კონტენტში). ასევე, სასწავლო პროგრამის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მდგრადობის პოლიტიკისა და კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხებს არ ეთმობა სათანადო თემატიკა, რაც ერთ-ერთი აღმავალი ტრენდია დღეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალობაში. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია საქართველოს ევროსტრუქტურებში ასოცირების პროცესი და ამ მხრივ საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის ჰარმონიზება, რაც იწვევს ძირეულ ცვლილებებს კერძო, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მართვაში. ამ თანამედროვე ტენდენციებს სიღრმისეულად უნდა ფლობდეს მაგისტრი, თუმცა სასწავლო კურსის შინაარში არ არის ეს მიმართულება წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით სასურველია, ზემოხსენებული მიმართულება დაემატოს ძირითად სასწავლო კურსს ცალკე საგნად ან ინტეგრირდეს რომელიმე სასწავლო კურსში. ინტერვიუებიდან და წარმოდგილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ უსდ-ს აქვს დამყარებული ურთიერთობები უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ცენტრებთან და აქტიურად არის ჩართული გაცვლით და სხვა საერთაშორისო პროგრამებში. კერძოდ, პარტნიორთა სიაშია: University of Economics and Human Sciences in Warsaw , “AUREL VLAICU” University of ARAD, ლოძის უნივერსიტეტი, კიევის ტარას შევჩენკოს სახ. უნივერსიტეტი, საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი, Unicef. არსებობს ასევე მკაფიო გეგმა ამ ურთიერთობების გაღრმავების. ინტერვიუებით დადასტურდა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - სტუდენტები, დამსაქმებლები, მოწვეული პერსონალი, აკადემიურ პერსონალთან ერთად და მუდმივად მიმდინარეობს პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესი. პროგრამა ხელმისაწვდომია საჯაროდ უსდ-ს ვებ გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ● სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა; ● ინტერვიუები პროგრამაში ჩართულ მხარეებთან; ● თვითშეფასების დოკუმენტი; ● სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები; ● გასაუბრება სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: ● რეკომენდირებულია ძირითად სასწავლო კურსებს დაემატოს „შიდა კომუნიკაციის სტრატეგია“, ან გაძლიერდეს აღნიშნული კურსის თემატიკის სწავლება ძირითად სასწავლო კურსში შემავალ რომელიმე საგანში;

• რეკომენდირებულია „მედია კომუნიკაცია“ სასწავლო კურსი წარმოდგენილი იყოს ძირითად სასწავლო კურსებში ან თემატიკა ინტეგრირედეს შესაბამის ძირითად სასწავლო კურსების კონტენტში. • რეკომენდირებულია „კორპორაციული პასუხისმგებლობის“ სასწავლო კურსი დაემატოს ძირითად სასწავლო კურსებს ან ინტეგრირდეს რომელიმე ძირითადი სასწავლო კურსის შინაარსში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია დაემატოს კამპანიების დაგეგმვის სასწავლო კურსი, რომელიც სისტემატიზირებას გაუკეთებს სხვადასხვა საგანში მიღებულ ცოდნას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ▪
• მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო კურსების სილაბუსები მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის დასახელებას, წინაპირობას, კრედიტის რაოდენობასა და საათების განაწილებას სტუდენტის დატვირთვის მიხედვით. სასწავლო კურსში ასახულია თემატიკით განსაზღვრული მიზნები, დატვირთვის რელევანტური მეთოდოლოგია, სწავლა-სწავლების მეთოდები, სწავლის შედეგები და შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები. სასწავლო კურსები ეყრდნობა და იყენებს თანამედროვე ლიტერატურას, მათ შორის სამეცნიერო სტატიებს, რაც ინტერესს უღვივებს სტუდენტებს, დაკავდნენ სამეცნიერო მუშაობით. “ციფრული ტექნოლოგიების სტრატეგიული მართვის“ სილაბუსში ვხვდებით არააკადემიურ ლიტერატურას, ლექტორის მიერ მომზადებულ რიდერთან კომბინაციაში. სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების, როგორც საკონტაქტო ასევე დამოუკიდებელი საათების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და

ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. სასწავლო კურსის სილაბუსში მოცემული სწავლის შედეგები ექვემდებარება შეფასებას.
სავალდებულო ნაწილში - „კვლევით კომპონენტში„ შესულია საგნები „აკადემიური წერა საზოგადოებასთან ურთიერთობაში“ და “კვლევის მეთოდები სტრატეგიულ კომუნიკაციაში“ და სამაგისტრო ნაშრომთან ერთად ფასდება 42 კრედიტით. აღნიშნული საგნები სხვა კურსებთან კომბინაციით მყარ საფუძველს ქმნის, მაგისტრებმა შეძლონ მომავალში გამოიყენონ კვლევითი კომპონენტი პრაქტიკულ საქმიანობაში, განავითარონ ცვლილების თეორია ისე, რომ მიიღონ სასურველი შედეგი.
გასათვალისწინებელია ისიც, რომ უსდ-ს მაგისტრების პირველი გამოშვება ჰყავს და მხოლოდ რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომია მომზადებული (7 ნაშრომი)- მაგრამ ზოგადი სურათი უკვე შეიძლება შეფასდეს. სამაგისტრო პროგრამის აქცენტია, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი აიყვანოს პროფესიული განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე და აღჭურვოს ის პრაქტიკული და სტრატეგიული უნარ-ჩვევებით. მიუხედავად ამისა, ასათვისებელია პროგრამის პოტენციალი და ექსპერტთა რჩევაა, სამაგისტრო თემების შერჩევისას სტუდენტებმა, ხელმძღვანელის დახმარებით, შეარჩიონ დარგის შესაბამისი აქტუალური საკვლევი თემა.
სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა განახლებულია. შესაძლებელია, რომ დაემატოს წვდომა ისეთ პლატფორმებზე, რომელიც მნიშვნელოვან ახალ ცოდნას აძლევს სპეციალისტს ამ მიმართულებით, მაგ: Institute for Public Relations, International Association for Measurement and Evaluation of Communication (AMEC), ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტრატეგიული კომუნიკაციის პროგრამა;
- სტრატეგიული კომუნიკაციის პროგრამის სილაბუსები;
- ვიზიტი ბიბლიოთეკაში.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://alterbridge.edu.ge/strategiuli-komunikaciebi/).

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება:

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად პროგრამის კურიკულუმი და ცალკეული დისციპლინების სილაბუსები ითვალისწინებს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის საჭირო აქტივობებს, როგორიცაა სწავლება კონკრეტულ სიტუაციებზე დაყრდნობით (ქეისები), რეალური და აქტუალური პრობლემატიკის გარშემო დავალებები, მათ შორის, ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით, ადგილობრივი ორგანიზაციების საკომუნიკაციო კამპანიებისა და სტრატეგიების ანალიზი და ა.შ.. პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკის კომპონენტი სავალდებულო კურსის ნაწილია და საბოლოოდ კრავს და ამთლიანებს იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელსაც სტუდენტი დაეუფლა თეორიული კურსებისა და კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის გავლის პერიოდში. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის გავლას 10 კრედიტის ფარგლებში და რეგულირდება უსდ-ს პრაქტიკის დებულებით. ვიზიტის განმავლობაში განხორციელებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ დებულებით გათვალისწინებული პროცედურები დაცულია და ცნობილია სტუდენტებისთვის. სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან : „არტარეა TV2.0“, გამომცემლობა პალიტრა L, Windfors Georgia , კლიპ-არტი , ტელეკომპანია „იმედი“ , სარეკლამო სააგენტო „ედსამფიშ“, ჟურნალი „ფორბს-ვუმენ“, რადიო უცნობი, საინფორმაციო სააგენტო „კომერსანტი“, ინგლისურენოვანი გაზეთი „ჯორჯია თუდეი“, ჟურნალი „ანტრეპრენიორ საქართველო“, მედია და ტელეხელოვნების კოლეჯი, მედიისა და კომუნიკაციის საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი. სტაჟირების გავლის საშუალება სტუდენტებს ასევე აქვთ კერძო ორგანიზაციებში, როგორიცაა: „ნიკორა ტრეიდი“, „ლიბერთი ბანკი“, „თეგეტა მოტორსი“, „კრედო ბანკი“ და ა.შ. . სტუდენტების სტაჟირებით უზრუნველყოფის ვალდებულება გათვალისწინებულია მემორანდუმებში. სტუდენტების მიერ პროფესიული პრაქტიკის გავლას მეთვალყურეობას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს მრავალწლიანი გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით. მისი უშუალო ჩართულობით და სტუდენტებთან შეთანხმებით, სტუდენტები ნაწილდებიან წინასწარ შეთანხმებულ ორგანიზაციებში. სესიებზე გაირკვა, რომ პრაქტიკის მსვლელობისას სტუდენტს მეთვალყურეობას უწევს მენტორი, რომელიც პარტნიორი ორგანიზაციის თანამშრომელია და უშუალოდ არის ჩართული პროცესში. სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პრაქტიკის კომპონენტი კარგად არის განვითარებული და ეხმიანება როგორც დამსაქმებლების, ისე სტუდენტების მოთხოვნებს. თუმცა შესაძლებელია უფრო ორგანულად მოხდეს პრაქტიკის კომპონენტის ინტეგრირება შესაბამისი ორგანიზაციის რეალურ საქმიანობაში, რომ სტუდენტებმა არა დამოუკიდებელ ან განყენებულ პროექტებს დაუთმონ დრო და ყურადღება, არამედ უშუალოდ სამუშაო პროცესში ჩაერთონ და იკვლიონ რეალური

თემატიკა. ამასთან, პრაქტიკული სწავლება კარგ საშუალებას იძლევა, მაგისტრანტმა რეალურ გარემოში გამოსცადოს მედიასთან ურთიერთობის სპეციფიკა, აღმოაჩინოს ურთიერთობის კონიუნქტურა და დააკვირდეს პროცესებს შიგნიდან - შესაბამისად, მედია ორგანიზაციაში სტაჟირებისას უმჯობესია ყურადღება დაეთმოს სწორედ ამ საკითხს და არა რამე განყენებულ თემას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • გასაუბრება სტუდენტებთან; • პროფესიული პრაქტიკის დებულება; • პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი; • სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა; • სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები; • მაგისტრატურის დებულება; • მემორანდუმები ორგანიზაციებთან / პრაქტიკის ობიექტებთან; • თვითშეფასების დოკუმენტი
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია ორგანიზაციაში სტაჟირებისას ყურადღება დაეთმოს უშუალოდ სამუშაო პროცესში ჩართვას და არა - დამოუკიდებელი, განყენებული პროექტის განხორციელებას. ეს განსაკუთრებით ეხება მედია ორგანიზაციაში სტაჟირებისას, რაც მნიშვნელოვანი შესაძლებელი იქნება სტუდენტებმა განიმტკიცონ მედიასთან ურთიერთობის საკითხები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
• მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია კურსის, პროგრამის მიზნების შესაბამისად და შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს. შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდები ითვალისწინებს კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის დოკუმენტებსა და სილაბუსებში ვკითხულობთ, რომ პროგრამით გათვალისწინებული თითოეული კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი ფორმები და მეთოდები: ლექცია-სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, ელექტრონული რესურსებით სწავლება; წყვილებში მუშაობა ქოუჩინგის პრინციპით; წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა; რეფერატის ან ესსეს შესრულება პროექტზე მუშაობის მეთოდი; გუნდური მუშაობა; დისკუსია / დებატებში მონაწილეობა; კონკრეტული სიტუაციების ანალიზი; გონებრივი იერიში; დემონსტრირების მეთოდი; ინდუქცია, დედუქცია. პროგრამა ხორციელდება სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენებით. არსებული მეთოდები რელევანტურია და შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები; • სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა; • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსში განსაზღვრულია შეფასების სისტემა, ასევე ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა ini.ge - https://students.alterbridge.edu.ge, რომლის საშუალებით სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სილაბუსები, პროგრამა და სწავლის დაწყებამდე აქვს ინფორმაცია შეფასების ძირითადი მეთოდების, ფორმებისა და კრიტერიუმების შესახებ.

სტუდენტის შეფასება არის გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. სასწავლო უნივერსიტეტში არსებული შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და ის მრავალკომპონენტიანია.

წარმოდგენილი წარმოების მასალებზე დაყრდნობით, სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები კურსის სპეციფიკის შესაბამისია და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ აპელაციის შესახებ ფლობდნენ ინფორმაციას, რომელიც ასევე გაწერილია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, თუმცა სამართლიანად იწერება ქულები და შესაბამისად არ გამოუყენებიათ.

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაში სტუდენტის შეფასება ხორციელდება კანონმდებლობით აღიარებული სისტემით და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს, რომელსაც იცნობს თითოეული სტუდენტი. სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. დადგენილია ზოგადი წესი თითოეული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასებისათვის; განსაზღვრულია ერთიანი სისტემური სტრუქტურა შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის. შეფასების კომპონენტი შეიძლება იყოს ტესტი, ღია ტესტი, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ.

აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა https://students.alterbridge.edu.ge საშუალებას აძლევს სტუდენტს, წინასწარ გაეცნოს სილაბუსს, მიიღოს ინფორმაცია შეფასების კომპონენტების/მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ, ამავე დროს, პირველ

მეცადინეობაზე ლექტორი მიმოიხილავს სილაბუსს და განმარტავს სწავლება-სწავლისა და შეფასების ცალკეულ მეთოდს. შეფასების სისტემა ორ ფორმად იყოფა - შუალედური და დასკვნითი შეფასება. მათი შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/შემაჯამებელი შეფასება, რომლის მინიმალური ზღვარია 51% - მაქსიმალური კი 100%. საბოლოო გამოცდაზე სტუდენტის დაშვება ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო დასკვნითი გამოცდის შეფასების 51% ან მეტი. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად დაცვის დროს. დაცვაზე მიღებული შეფასება გამოითვლება კომისიის წევრებისა და რეცენზენტის მიერ დაწერილ შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით. შეფასების კრიტერიუმები სამაგისტრო ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ იგი 100 ქულიდან მიიღებს მინიმუმ 51 ქულას. იმ შემთხვევაში, თუ მიიღებს 41-50 ქულის ფარგლებში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი და წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო თუ სტუდენტის შეფასება იქნება 0-40 ქულის ფარგლებში "F", მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას. ამ შემთხვევაში იგი ვალდებული თავიდან გაიაროს ეს კომპონენტი დადგენილი წესით. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ფლობენ ინფორმაციას, თუ სტუდენტი თვლის, რომ მისი ცოდნა ამა თუ იმ დისციპლინის ფარგლებში ობიექტურად არ შეფასდა, ან მიაჩნია, რომ არსებობს ობიექტური ფაქტორი, რომელმაც განაპირობა უარყოფითი შეფასება, მას შეუძლია, დადგენილ ვადაში, დასაბუთებული განცხადებით მიმართოს პირველ რიგში ლექტორს და განიხილოს ნაშრომი, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არ ეთანხმება უკუკავშირის შედეგს, გაასაჩივროს ნამუშევარის შეფასება, შემდგომ მიმართავს საჩივრით დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შექმნილ დროებით კომისიასთან ერთად განიხილება. სტუდენტების თქმით, ასეთი შემთხვევას ვერ იხსენებენ, რადგან მათი თქმით, სამართლიანად იწერება ქულები ლექტორების მხრიდან. თუმცა, ლექტორის შეცვლის მოთხოვნა დააფიქსირეს პროგრამის ხელმძღვანელთან. დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელისა და რექტორის სრული ჩართულობით დადასტურდა მოთხოვნა და ჯგუფს შეეცვალა ლექტორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ პერსონალთან. • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები; • სწავლის მეთოდების შედეგებთან შესაბამისობის რუკა.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება: **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშ,ია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საკონსულტაციო მომსახურებისა და, ზოგადად, სტუდენტთა საინფორმაციო მხარდაჭერისათვის, უნივერსიტეტში გამოყოფილია კონსულტაცია: ლექცია-სემინარების დღეებში, 2 საათი, სასწავლო უნივერსიტეტის აუდიტორიაში. ეს ჩანაწერი მოცემულია ყველა სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსში და ასევე დეკანატში არსებობს კონსულტაციების გრაფიკი, თუმცა ინტერვიუს დროს, სტუდენტები არ ფლობდნენ ამ ინფორმაციას. მათი თქმით, ნებისმიერ დროს შეეძლოთ ლექტორის მხრიდან მიიღოთ კონსულტაცია. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. სტუდენტს შეუძლია მიმართოს სასწავლო პროცესის სამსახურს საგანმანათლებლო პროგრამების/სასწავლო კურსების შინაარსის, წინაპირობების, კრედიტების დაგროვების და სხვა საჭირო ინფორმაციის მიღების მიზნით. მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას, ini.ge-ის გვერდზე თვალნათლივ ჩანს ელექტორნული ბაზების გამოყენებისა და ყველა ის ინსტრუქცია, რაც შეიძლება სტუდენტს დასჭირდეს Online სწავლების პროცესში.

დასაქმებისა და კარიერული განვითარების კუთხით, კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია სტაჟირების გავლის წესი, რომელიც მიზნად ისახავს მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. რამდენიმე სტუდენტი და კურსდამთავრებული, დასაქმებულია პროგრამის პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტზე.

უსდ-ში გათვალისწინებული სტიპენდიის გაცემის წესის თანახმად, სტიპენდიების დანიშვნის მთავარი კრიტერიუმია სტუდენტის რეიტინგი (სემესტრული მაღალი აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი). სტიპენდიის დანიშვნის საფუძველია, სტუდენტის მიერ სემესტრში არანაკლებ 30 კრედიტის დაგროვება და „A" (91 – 100 ქულა) შეფასება ყველა სასწავლო კომპონენტში.

ასევე, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, რის შესახებაც ისინი ინფორმირებულნი არიან ვებგვერდისა და დეკანატის მიერ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, აგრეთვე სოციალური ქსელის საშუალებით. ინტერვიუს მსვლელობის დროს, ერთმა სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა დაადასტურეს, რომ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდნენ სასწავლებლად. თუმცა, აღნიშნული რაოდენობა არაა საკმარისი, და მეტად უნდა მოხდეს სტუდენტების ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს დოკუმენტები: ,,აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა", ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია" და ,,პრაქტიკის დებულება". აღნიშნული დოკუმენტები სახელმძღვანელოა და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის. არაერთი შეხვედრა არის გამართული სტუდენტებთან, ცნობიერების ამაღლების მიზნით. ასევე გაიმართა, სტუდენტური კონფერენცია თემაზე: „სამართლებრივი არაკეთილსინდისიერება სოციალურ მედიაში" და მონაწილეობა მიიღეს როგორც ბაკალავრის სტუდენტებმა, ისე მაგისტრატურის, რომლის მონაწილეებიც იყვნენ ინტერვიუზე მყოფი 2 სტუდენტიც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყველაფრის მიუხედავად, სტუდენტები მაინც არ ფლობდნენ საკმარის ინფორმაციას აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის შესახებ. ამდენად, უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს სტუდენტებთან ამ მიმართულებით მუშაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართულ პირთა (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები;
- სტრატეგიული კომუნიკაციის პროგრამის პარტნიორთა სია
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი;

• სამაგისტრო ნაშრომები.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია სტუდენტების მეტი ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. კერძოდ, საგანმანათლებლო საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სტუდენტების ჩართულობა; საერთაშორისო კოფერენციებში, ფორუმებსა და ტრენინგ კურსებში სტუდენტების აქტიური მონაწილეობა; პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესურის მოწვევა სასწავლო უნივერსიტეტში და აკადემიური აქტივობის განხორციელება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში არსებობს აკადემიური პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით ,,აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევა/დანიშვნის წესი“, რომელიც თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, რაც უზრუნველყოფს აკადემიურ თანამდებობებზე კვალიფიციური პერსონალის შერჩევას. ეს ინფორმაცია, სტუდენტების მხრიდან დადასტურებულ იქნა. სტუდენტები კმაყოფილები არიან აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციითა და სწავლების მეთოდებით. სტუდენტებს აქვთ საშუალება ჰყავდეთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ აკადემიური ნაშრომების ხელმძღვანელობის გამოცდილება. სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა რეგულირდება ,,სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციით“, რომელსაც ისინი ეცნობიან გონივრულ ვადებში. სტუდენტები, საკმარის ცოდნას არ ფლობენ ამ დოკუმენტის შესახებ, რაც ინტერვიუს პროცესშიც გამოიკვეთა. უსდ-ს მიერ სტუდენტებს წარედგინებათ მიმართულებები და სავარაუდო ხელმძღვანელები, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის დასახელება კორექტირდება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და სტუდენტის ურთიერთშეთანხმებით. ასევე, ინტერვიუების პროცესში გაირკვა, რომ სტუდენტთა ნაწილი სრულფასოვნად არ იყო ინფორმირებული აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი - "სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ინსტრუქცია", რომელშიც ასახულია ყველა ის პუნქტი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის. ამ დოკუმენტის მიუხედავად, წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებში ნაწილობრივ არის დაცული ბიბლიოგრაფიის წერის სტილი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომებში გამოყენებულია 10 - 15 წყარო. კარგი იქნება, თუ სტუდენტი დაიცავს ლიტერატურის მიმოხილვის ფორმატს და სტილს. ასევე, სილაბუსების ანალიზზე, ლექტორებთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით მიგვაჩნია, რომ მიუხედავად სასწავლო პროგრამაში შეტანილი კურსებისა, უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს კვლევითი საქმიანობის წასახალისებლად, განსაკუთრებით სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისას (სამაგისტრო ნაშრომებში კვლევითი და ანალიტიკური კომპონენტი სუსტად არის წარმოდგენილი, იყენებს რა მხოლოდ აღწერითი სტატისტიკის მეთოდებს. ასევე, ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა შესრულებულია მხოლოდ 15 წყაროდან).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამტავრებულებთამ; • სასწავლო უნივერსიტეტის დებულება; • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსები; • სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია; • აკადემიური კეთილსინდისირების პოლიტიკა.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომებში ხარისხის გაუმჯობესება. კერძოდ, ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი შესრულდეს ადექვატური რაოდენობის წყაროებიდან ასევე, კვლევითი კომპონენტში გამოყენებულ იქნას რელევანტური კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი მოხდეს სამაგისტრო ნაშრომთან შესაბამისი ანალიტიკური ხერხებით (სტუდენტმა გამოიყენოს არა აღწერითი, არამედ დასკვნითი სტატისტიკის მეთოდები). • უსდ-ს მიერ შემუშავებული დოკუმენტი - "სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ინსტრუქცია" და საჭიროებს, რომ სწორად იყოს მიწოდებული მაგისტრანტებისთვის. ამაში იგულისხმება სტილი, რომელიც უნდა იყოს დაცული ნაშრომის მომზადების პროცესში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირება ,,აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის" შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
• მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის მართვისა და სტრატეგიული კომუნიკაციის სკოლაში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 26 აკადემიური პერსონალი, სადაც 15 არის უნივერსიტეტის აკადემიური, ხოლო 11 მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალი წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: 3 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი. უნივერსიტეტთან აფილირებულია 8 აკადემიური პერსონალი: 2 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი. უნივერსიტეტში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებით დადგენილი საკონკურსო პირობების მიხედვით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით 15/11. ასევე, აკადემიური აფილირებული პერსონალის თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან მიმართებით 8/37-ია, ხოლო აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეულის კი 25/37, რაც პროგრამის მდგრადი განვითარების ერთერთი წინაპირობა არის.

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნიათ სწავლა/სწავლების, აკადემიური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებით და პირისპირ ინტერვიუებით. მათი ავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს არა მარტო აკადემიურ, არამედ სფეროში საქმიანობის პრაქტიკულ გამოცდილებასაც.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი რომელთაც გააჩნიათ დარგის შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის როგორც შემუშავების, ისე განხორციელების პროცესში, კერძოდ იგი პროგრამის ფარგლებში კითხულობს ისეთ მნიშვნელოვან სავალედებულო სასწავლო კურსებს როგორიცაა მოლაპარაკებების სტრატეგიები და რეპუტაციული მენეჯმენტი. დაწესებულებაში გაწერილია აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები.ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება ქმნის საფუძველს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი კომპეტენცია, რომელიც დასტურდება მათი პროფესიული გამოცდილებით/აკადემიური ხარისხით და სამეცნიერო პუბლიკაციებით. ამჟამად, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაზე გამოყოფილია 5 პროფესორი, რაც ამ ეტაპისთვის (პროგრამაზე არსებული სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე) საკმარისა. თუმცა, გასათვალისშინებელია ის ფაქტი, რომ უსდ-ს სტუდენტთა მისაღები რაოდენობა 90 სტუდენტით ჰქონდა განსაზღვრული. შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომების

ხელმძღვანელთა რაოდენობა შესაბამისობაში არის მოსაყვანი სტუდენტთა საპროექციო რაოდენობასთან, რისი მზაობაც ინტერვიუების მსვლელობისას ინსტიტუციამ დაადასტურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • სტუდენტთა კონტიგენტის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია; • ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშორომების რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდოს ნაშორმის ხელძღვანელების რაოდენობა მათი კომპეტენციის შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო-კვლევითი შეფასების მექანიზმები, ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის კრიტერიუმები და ინდიკატორები. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა ფასდება (სემესტრულად და წლიურად) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში მოცემული წესით. უნივერსიტეტის აკადემიური

პერსონალი ავსებს შესაბამისი ანგარიშის ფორმას და წარუდგენს ხარისხის მართვის სამსახურს. შეფასება მოხდება უნივერისტეტის კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასების 29 განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასების შედეგების გათვალისწინება ხდება აკადემიური პერსონალის შეფასებისა და შემდგომი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების პარალელურად თანამშრომელთა კმაყოფილების მდგომარეობის შესასწავლად გათვალისწინებულია აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის ფორმები, რომელთა მიზანია, გამოავლინოს თანამშრომელთა კმაყოფილების მდგომარეობა და დასახოს კმაყოფილების ამაღლების კონკრეტული ღონისძიებები. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს აკადემიური საქმიანობისთვის პერსონალთა წახალისების და მოტივაციის სისტემები. წახალისების თანხა გაიცემა სამეცნიერო შრომის (სტატია/საკონფერენციო მასალა, წიგნი/წიგნის თავი), პატენტისა და სარედაქციო სამუშაოსათვის, რომელიც განხორციელდება უნივერსიტეტის სახელით. სესიებზე ასევე აღინიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს აფილირებული პერსონალის სამეცნიერო აქტივობების წახალისებისთვის დაგეგმილი აქვს პერსონალის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები: პერსონალის ტრენინგები, პერსონალის კვლევითი საქმიანობის და საერთაშორისო ინტეგრაციის ხელშეწყობის აქტივობები და ა.შ. ამავე მიზნით უნივერსიტეტი გამოსცემს საკუთარ სამეცნიერო ჟურნალს და ხელს უწყობს პერსონალს სამეცნიერო საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების მსვლელობისას გამოიკვეთა მეტი სამოტივაციო აქტივობების საჭიროება უნივერსიტეტის დონეზე აფილირებული და მოწვეული ლექტორების წახალისების კუთხით. რათა მათ მეტი სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიკაცია ჰქონდეთ სტრატეგიული კომუნიკაციის კუთხოთ, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე. რაც ასევე დადებითად აისახება როგორც სტუდენტებზე სწავლის პროცესში ასევე, თემის ხელმძღვანელობის პროცესზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების დოკუმენტი; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია უნივერსიტეტის მხრიდან აფილირებული და აკადემიური პერსონალის წახალისების კუთხით მეტი სამოტივაციო აქტივობების გატარება. რაც მათ მისცემთ მეტ მოტივაციას საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე, სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში გაზარდონ სამეცნიერო პუბლიკაციების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე და ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლების პროცესისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერებით და პროექტორებით. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა უნივერისტეტის შენობა, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერების ოთახი და ყველა საჭირო მატერიალურ- ტექნიკური რესურსი რაც მნიშვნელოვანია სწვალის პროცესის უზრუნველსაყოფად. ყველა ტიპის რესურსები გამოირჩევა თანამედროვეობით და სტუდენტზე მორგებულობით. ბიბლიოთეკა ფლობს თანამედროვე სწავლებისთვის საჭირო, ლიტერატურის ბეჭდურ და ელექტრონულ წიგნებს, როგორც სამეცნიერო ასევე დამხარე სახის ლიტერატურას. ბიბლიოთეკის გამტარიანობა უზრუნველყოფს არსებული სტუდენტების მომსახურებას. უნივერსიტეტი გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს „თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები", სადაც სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის სტატიები უფასოდ ქვეყნდება. პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებთან: • Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core) • e-Duke Journals Scholarly Collection (https://read.dukeupress.edu/) • Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/) • IMechE Journals (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE) • Openedition Journals (https://www.openedition.org/) • Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/) • SAGE Journals (https://journals.sagepub.com)

- SAGE APCs for Open Access Journals (https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at-sage)

ბიბლიოთეკაში დაცულია სილაბუსებში მითითებული, როგორც აუცილებელი, ასევე დამხმარე ლიტერატურის წიგნადი ფონდი. ასევე, უნივერსიტეტს გააჩნია პლაგიატის ამომცნობი პროგრამა "turnitin", სადაც მოწმდება სტუდენტების მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები.

უნივერისტეტს გააჩნია შიდა და გარე სივრცეები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სამკითხველო ასევე თავისუფალ სივრცეებად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დათვალიერება;
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი სახელმძღვანელოები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (https://alterbridge.edu.ge/en/journal-2/);
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ადმინისტრაციასთან,

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში დეტალურად არის გაწერილი პროგრამის შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის დოკუმენტის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის შემოსავლები და ხარჯები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ბიუჯეტის ფინანსური გათვლები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- შრომის ანაზღაურება - აფილირებული აკადემიური პერსონალი
- შრომის ანაზღაურება - მოწვეული პერსონალი - საათობრივი

• კვლევასთან დაკავშირებული ხარჯები, მივლინება, კონფერენცია, სემინარი და წარმომადგენლობითი ხარჯი • შრომის ანაზღაურება - პროგრამის ადმინისტრაცია • პროფესიული გადამზადების ხარჯები • ბიბლიოთეკა • ტექნიკურ მატერიალური რესურსები • სტუდენტების წახალისება & სოციალურად დაუცველთა უზრუნველყოფაზე წასული ხარჯები • და სხვა პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა მნიშვნელოვანი აქტივობის დაფინანსებას, რომელი აუცილებელია სასწაავლო პროგრამის შეუფერხებლად განსახორციელებლად. თუმცა, პროგრამის მეტი პოპულარიზაციის კუთხით სასურველია ბიუჯეტში გაიწეროს მარკეტინგული და PR აქტივობებისთვის განკუთვნილი სარჯები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სამაგისტრო პროგრამის პროგრამის ბიუჯეტი; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია პროგრამის მეტი პოპულარიზაციის კუთხით ბიუჯეტში გაიწეროს მარკეტინგული და PR აქტივობებისთვის განკუთვნილი სარჯები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობა რეგულირდება სამსახურის დებულებითა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით. თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, რომ უსდ-ს ხარისხის მართვის სამსახურის მისიაა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მონაწილე პირები ჩართოს და მიაწოდოს ინფორმაცია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და მათი ეფექტიანობის შეფასების, ასევე ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის შესახებ, რათა თითოეულმა მათგანმა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დანერგვასა და განვითარებას. ასევე, სამსახურის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის დანერგვა და უწყვეტი გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის გამართულობის უზრუნველყოფა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებისა და არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება და საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველყოფა. უსდ-ს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია: „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე” ციკლის - ე.წ. “PDCA” პრინციპის შესაბამისად. ხარისხის მართვის სამსახური განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალისა და კვლევის, სწავლის/სწავლების პროცესის, სტუდენტური სერვისებისა და ინფორმირების და სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურების გამართული მუშაობის შეფასებას. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისათვის, ხარისხის მართვის სამსახური იყენებს შემდეგ მაჩვენებლებს: დაინტერესებული პირების - სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; შრომის ბაზრის ანალიზი და ბენჩმარკინგი; გარე შეფასების შედეგები; ურთიერთდასწრებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები. სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერიოდულ

მონიტორინგისა და კოლეგიალური შეფასების შედეგად, ხარისხის მართვის სამსახური გასცემს რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შიდა შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობს ყველა დაინტერესებული მხარე, შესაბამისად, უზრუნველყოფილია თვითშეფასების პროცესში აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის და სხვა შესაბამისი დაინტერესებული პირების ჩართულობა. ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახური მუშაობს თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე და ახდენს რეკომენდაციებისა და ცვლილებების ასახვას პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის მართვის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტარტეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; • ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან და მენეჯერთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; • ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან; • ხარისხის მართვის სამსახურის დებულება; • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • ხარისხის მართვის სამსახურის კითხვარები და გამოკითხვის შედეგები; • აკადემიური პერსონალის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარი; • სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ▪
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2	**გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს, საერთაშორისო ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციის შედეგად მიღებულ შეფასებებს, ადგილობრივი ან საერთაშორისო მოწვეული ექსპერტების მიერ გამოვლენილი ნაკლოვანებების და გასაუმჯობესებელი მხარეების ანალიზს, პოტენციური დამსაქმებლების და სხვა გარე შემფასებლების ჩართულობას. სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, გარე შეფასების ფარგლებში, გაზიარებულ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორებთან. პროგრამა ექსპერტთა მიერ შეფასებულ იქნა დადებითად და პროგრამის უპირატესობებად აღინიშნა კურიკულუმის სტრუქტურა და კოჰერენტულობა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს დარგი შეისწავლოს ფართო პერსპექტივიდან, რეპუტაციული მენეჯმენტის, ინტერპერსონალური კომუნიკაციისა თუ ბრენდის მართვის თანამედროვე მიდგომების ცოდნა, სტუდენტებისათვის საჭირო ტრანსფერული და პროფესიული უნარების გამომუშავების შესაძლებლობა, პრაქტიკის კომპონენტი და პროგრამის განმახორციელებელი რესურსი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოვლენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დადასტურდა შემფასებელთა მიერ გაცემული რეკომენდაციების ასახვა და გამოყენება პროგრამის სააკრედიტაციოდ მზადების პროცესში. პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადების ფარგლებში, ასევე გათვალისწინებულ იქნა წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული ექსპერტთა რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტარტეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; • ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან და მენეჯერთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; • ხარისხის მართვის სამსახურის დებულება; • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • გარე ექსპერტთა შეფასების შედეგები.
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. პროგრამის ფარგლებში, წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით, ხორციელდება აკადემიური პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგიალური დასწრების საშუალებით, ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტები აფასებენ სალექციო კურსებს და ხდება სასწავლო კურსისთვის დადგენილი მიზნობრივი ნიშნულის და ფაქტობრივი შედეგების ანალიზი. ასევე, პროგრამის დასრულებისას - სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპებზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიურების შედეგებით, მათი ჩართულობა და მოტივაცია მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ბენჩმარკინგი ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებამდე და პროგრამის განხორციელებიდან ყოველ 4 წელიწადში. კონკრეტულ შემთხვევაში, მოკვლეულ იქნა საქართველოში მოქმედი 5 (სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს საქართველოს უნივერსიტეტი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ა(ა)იპ ჯიპა-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი) და საზღვარგარეთ მოქმედი 10 წარმატებული ანალოგი პროგრამა (COLUMBIA UNIVERSITY, AMERICAN UNIVERSITY, ARIZONA STATE UNIVERSITY, LOUISIANA STATE

UNIVERSITY, LOYOLA UNIVERSITY CHICAGO, LEEDS BECKETT UNIVERSITY, CHALES UNIVERSITY, MICHIGAN STATE UNIVERSITY, UNIVERSITY OF MERYLAND GLOBAL CAMPUS, UNIVERSITY OF MINNESOTA). ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სასწავლო გეგმის სტრუქტურის, პრაქტიკის კომპონენტისა და პროფესიული უნარების გამომუშავებისათვის საჭირო კომპეტენციების თავსებადობის შესაძლებლობა, ასევე პროგრამის ფარგლებში გაზიარებულ იქნა კოლუმბიის უნივერსიტეტისა და ლუნდის უნივერსიტეტის მიდგომები, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სტარტეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; • ინტერვიუ ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან და მენეჯერთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან; • ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან; • ხარისხის მართვის სამსახურის დებულება; • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • ხარისხის მართვის სამსახურის კითხვარები და გამოკითხვის შედეგები; • აკადემიური პერსონალის სასწავლო საქმიანობის შეფასების კითხვარი; • ანალოგი პროგრამების მოკვლევის (ბენჩმარკინგის) დოკუმენტი; • სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://alterbridge.edu.ge/
რეკომენდაციები: •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება: **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის	✔			

განვითარების შესაძლებლობები				

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

სტრატეგიული კომუნიკაცია, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

თორნიკე ხოშტარია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თინათინ სტამბოლიშვილი

ელდარ პირმისაშვილი 

თამთა ცხოვრებაძე

მარიამ ალექსიძე